# მწყემსი

№ 9.



გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიე ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გარკვევით და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპოდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.


ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

უმეცარი წამხედურობა.—ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში II.—გორის სასულიერო სასწავლებლის მაზრის სადეპუტატო დაყოფა.—სვანეთიდამ I.—სვანეთიდამ II.—დღეობა მაღალ მყარში.—სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.—ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.—ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲖᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. შეხმა საქართველოს ეგზარხოსის არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ, თქმული სენატორის სტაროსელსკის წესის აგებაზე.—მოძღვრება ქრისტეს შობის დღეს, თქმული მღ. ი. გამრეკელოვის მიერ.—ლექსები: ჩემი ლოცვა.—წმიდა ნინაა—განცხადებანი.

## ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

### ᲣᲛᲔᲪᲐᲠᲘ ᲬᲐᲛᲮᲔᲓᲣᲠᲝᲑᲐ.

**ძ**ველ დროში არავის შეეძლო ისე თავისუფლად წერა და ლაპარაკი სამღვდელო წოდებაზე, როგორც ეს დღეს თითქმის ყველას დაუბრკოლებლად შეუძლია. ჯერეთ ცოტა გაკვრით დაიწყეს ამ წოდებაზე ლაპარაკი და წერა, მაგრამ ამ ბოლო დროს—აშკარად და მოურიდლად. რასაკვირველია, არც ერთ წოდებას არ უნდა მიაჩნდეს საწყენათ მათზე წერა და ლაპარაკი, თუ ეს ნაწერები ყურადღებას დაიმსახურებენ. მაგრამ ის არის სამწუხარო, რომ ზოგიერთები ისეთ რამე უსაფუძვლოს სწერენ, რომლის მსგავსი სრულებით არაფერია.

**ს**ამძღვარ გარეთ, დასავლეთ ევროპაში, დიდი ხნიდამ არის აღძრული წერა და ბაასი მათ სამღვდელო წოდებაზე. მრავალი რომანებით და მოთხრობაებით არის გამოხატული დასავლეთი ევროპის სამღვდელო წოდების მდგომარეობა, მოქმედება და საქციელი. „კლერიკალიზმ“, აი საშიშარი სახელი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგიერთთა დიდად სასარგებლოდ მიაჩნიათ ხალხთა კეთილ დღეობისათვის. მართლა, დასავლეთ ევროპაში სამღვდელო წოდებას დანარჩენ ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა და აქვს დღესაც. რამდენად სასარგებლო იყო და არის ეს სამღვდელო წოდების გავლენა დანარჩენ ხალხთა კეთილ-დღეობისათვის, ჯერეთ კიდევ გარდაწყვეტით არ შეიძლება კაცმა სთქვას რამე.

**მ**აგრამ დასავლეთი ევროპის ხალხს ბევრი რამ ახსოვს სამღვდელო წოდების ისტორიული ცხოვრებიდამ, რომელსაც დღესაც ვერ შერიგებია იგი; კლერიკალურ მიმართულებას ისინი რაცხენ ეხლანდელი ხალხის წყობილებისათვის მავნებლად. ამისათვის სამძღვარ გარეთის საერო წოდების ჟურნალ-

გაზეთებში თითქმის ნიადაგ წერა არის აღძრული ამ კლერიკალიზმობის წინააღმდეგ.

**ზ**ოგიერთი რუსის მწერლებიც, რომელნიც ყველაფერში ბაძვენ დასავლეთის ევროპიის მწერლებს, ხშირად აღძვრენ ხოლმე ჩვენ მართლ-მადიდებელ სამღვდელოებაზე წერას. იმათაც რუსეთის სახელმწიფოის სამღვდელოება სამძღვარ გარეთ სამღვდელო წოდებად ეჩვენებათ და მოჰყვებიან ბაასობას მათ „უსარგებლობაზე“ ამ ბატონებს ყველაფერში ეტყობათ, უცოდინარობა ჩვენი სასულიერო წოდების ისტორიისა; მათ არ იციან ჩვენი სამღვდელოების ღვაწლი, რომელიც მათ მიუძღვის მამულის წინაშე; მათ არ იციან რით განირჩევა მართლ-მადიდებელთა სამღვდელოება ფრანგთა სამღვდელოებათაგან.

**ჩ**ვენშიაც, სამწუხაროდ, მრავალნი არიან იმისთანა პირები, რომელნიც ზოგიერთ რუსის მწერლებს უმეცრად ბაძვენ და მოჰყვებიან ჩვენი სამღვდელოების არა სასარგებლო მიმართულებაზე წერას. ბაასობენ, სწერენ ჩვენ სამღვდელოებაზე, მაგრამ არ იციან, სამწუხაროდ, სამღვდელოების დანიშნულება. ამათაც კარგად ჯერეთ კიდევ ვერ გაუგიათ, თუ რა განსხვავება არის ჩვენ და სამძღვარ გარეთ, ფრანგთა სამღვდელო წოდებათა შორის. არ შეუტყვიათ ჯერეთ მათ, რომ ჩვენს ხალხსა და სამღვდელელო წოდებათა შორის არის ისეთი კავშირი, რომელსაც ძნელათ ნახავთ სხვა ხალხთა და სამღვდელოთა შორის. არ ყოფილა ისეთი დრო არასოდეს, რომ ხალხის უბედურებაში და ბედნიერებაში მონაწილე არ ყოფილიყოს სამღვდელოება: მტერზე პირველად ის მიდიოდა; ის იყო ყველაფერში წინამძღომელი, დამრიგებელი და მასწავლებელი...

**ს**ამძღვარ გარეთ საერო წოდების ჟურნალ-გაზეთებში ერთი უშველებელი წერა გამართეს იმის თაობაზე, რომ სასულიერო წოდებისთვის ფეხი ამოეკვეთინებიათ პირველ დაწყებით სასწავლებლებში. შეიქნა რუსეთში ლაპარაკი საეკკლესიო სამრევლო სკოლების გახსნაზე. იქაც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგნი საეკკლესიო სამრევლო სკოლებს. რუსების წახედვით ჩვენშიაც გამოჩნდენ ზოგიერთები, რომელთაც არ სურსთ, რომ სამრევლო სკოლები გაიხსნას!..

**ე**სე, ხშირად ვხედავთ ჩვენ ჩვენშიაც უმეცარ წამხედურობას. ეს წამხედურები სხვისი სათვალეებით იხედებიან და ნაცვლად სარგებლობისა ზარალი მოაქვსთ საზოგადო საქმისათვის. წაბაძვა და წახედვა, კარგი დაგვემართოს, კარგი საქმეა, მაგრამ უმეცარი წაბაძვა ხშირად მავნებელია.

## ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

### II.

**ს**აუკუნოდ ქრისტიანობის დამყარება საქართველოში ეკუთვნის მოციქულთა სწორს **ნინასა**. ეს იყო ნათესავი მთავარ მოწამის გიორგისა, ასული ვინმე მთავრის ზაბულინისა და მეუღლისა მისისა სასანასი, იერუსალიმის პატრიარქის იობენალის დისწულისა. ტომობით კაბადოკიელი *). მისი მშობლები იყვნენ უშვილონი და ვითარცა იოაკიმე და ანნა, აბრაამი და **სარა**, **ზ**აქარია და ელისაბედი ევედრებოდნენ ღმერთსა, რათა დაეხსნა იგინი ბერწობისაგან და მიეცა შვილი, რომელსაც შესწირავდნენ უფალსა მსახურებლად. მართლაც, როდესაც მიეცათ **ნინო**, დედამან მისმან აღთქმისა მებრ აღზარდა იგი გლახაკთა მსახურებაში. ოდეს **ნინო** შეიქმნა 12 წლისა, იმის მშობლებმა განჰყიდეს თვისი სარჩო-საბადებელი და გაემგზავრნენ იერუსალიმს. აქ დიდხანს აღარ ყოფილან ერთად. **ზ**აბულონი ბერად შემდგარა და მიუმართია იორდანის მხარეს კაცთა ველურთა გასანათლავად; **ს**ოსანა იერუსალიმის პატრიარქს დაუნიშნავს გლახაკთა დედა-კაცთა სანუგეშებლად და გასანათლებლად; მცირე წლოვანი **ნინო** ანუ **ნინა** **) კი დაშთენილა ტაძარში ბეთლემელ ქალ **ს**არასთან, რომელსაც 2 წლის განმამავლობაში განუმტკიცებია იგი ქრისტეს სჯულის სწავლებაში. ამის შემდეგ იერუსალიმში მოსულა ერთი სასახლის დედა-კაცი და გაუვრცელებია ხმა, რომ იმპერატორის კონსტანცი ქლორის ცოლს ელენეს ჰსურსო ქრისტიანობის მიღება. **ნინას** დიდის სიხარულით გამოუცხადებია

---

*) წარჩინებული ჩვენი დ. ი. ჩუბინაშვილი, პროფესორად ნამყოფი, თავის სტატიაში „ეტნოგრაფიულ განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ ამტკიცებს ძველი მწერლების დახმარებით, რომ მთელი კაპადოკია დასახლებული იყო ქართველთა ტომისაგან, ესე იგი მეგრელთა და ჭანელთაგან. როგორც წმიდა გიორგი, ისე წმ. ნინო და 13 წმიდანი ამათ შემდეგ იყვნენ ქართველნი და როგორც ყველა კაპადოკიელებმა, ისე ამათაც იცოდნენ ქართული ენა.

**) ნინო, ნინა, ნუნე, ნონნე, ერთი და იგივე სახელწოდებაა. ამსახელით, ზოგიერთი მწერლების სიტყვით, მისრიაში (ეგვიპტე) და სხვაგან იწოდებოდნენ მოლოზანნი. ხოლო შემდეგში ქრისტიანობამ საკუთარ სახელად ჰქმნა. წმ. ნინას მრავალნი მწერალნი ჰხადიან „ტყვედ“, ხოლო ჩვენს მატიანეში არ არის მოხსენებული, რომ იგი ყოფილიყო ტყვე.—ეფრემ ბერი ქართველი ათონელი მე X საუკუნეში დაწვრილებით განმარტებს ნინოს სახელ-წოდებას (პ. იოსელიანი).

თავისი სურვილი დედოფლის მოქცევისათვის და პატრიარქის ნება-ყოფლობით და კურთხევით გამგზავრებულა ახალ რომში, ანუ კონსტანტინოპოლს. აქ, დედათ მონასტერში, სცხოვრობდნენ 50-ნი მოლოზანნი და მათ შორის ვიღაც დედოფალი რიფსიმე და მისი დედა — მძუძე გაიანე. ნინას აქ ამათთან ერთად დაუყვია 2 წელიწადი და ნათელ უცია რიფსიმე და გაიანესათვის და 50-თა სულთათვის. რიფსიმე ყოფილა მეტად მშვენიერი და იმპერატორს დიოკლეტიანეს მოუსურვებია მისი ცოლად შერთვა. მაშინ ყველა ქალებს თავ-ზარ დასცემიათ და აქეთ იქით დაფანტულან. სხვათა შორის, წმ. ნინო, რიფსიმე და გაიანეთი გამოპარულან მცირე აზიის ქალაქ დვინში და თანამგზავრებთან ერთად დასახლებულა საწნახლის ტალავარში. მაგრამ აქაც მყუდროება ვერ მოუპოვნიათ. დიოკლეტიანის ბრძანებით მიუგნია მათთვის სომხეთის მეფეს ტირდატს და იმპერატორობის ცოლობის უარ-ყოფისა გამო რიფსიმე, გაიანე და მრავალნი სხვანი უწვალებია და მოუკლამს. ხოლო წმ. ნინო ღვთის განგებით იქვე მიმალულა. აქ უშემწეოდ დარჩენილ წმიდანს ბევრი ულოცნია და მხურვალედ ვედრებია მარიამ დედისათვის, რათა მან მისცეს ძალა და აღმოუჩინოს მფარველობა. აი, ღვთის-მშობელიც სიზმარში გამოცხადებია ნინოს და უთქვამს მისთვის: „გაემგზავრე ივერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“. მერე მარიამ დედას ვაზის ტოტების ჯვარი გადუცია ნინასთვის და უთქვამს: „ეს იქნება შენი შემწე და მფარველი ყოველს გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრების წინააღმდეგ. ძალითა მისითა დაამყარებ იქა სიტყვასა ძისა ჩემისასა, უფლისა ჩვენისასა იესო ქრისტესსა“ *) მყის წმიდანს გამოღვიძებია და თავის ხელში უნახავს სწორეთ ის ჯვარი **), რომელიც ძილში მყოფობის დროს მისცა მას დედამან ღვთისამან. ნინოს მეტად გახარებია ეს სასწაული, შეუკრავს ეს ჯვარი თავისი თმებით და გამომგზავრებულა საქართველოსკენ. ბევრი უვლია იმას და მოსულა ორბანთამდე, სადაც „დაუზამთრია გარემოცული დიდის ჭირით“. გაზაფხულზე ისევ გასდგომია გზას და ზაფხულს მისულა ფანაკრის ტბამდის ჯავახეთში. აქ მეთევზეებს მისთვის მიუციათ საჭმელი და უსწავლებიათ მცხეთის გზა. მალე ნინო მტკვრის პირ-პირ მოსულა ქალაქ ურბნისამდის და აქედგან ღმერთების თაყვანის მცემლებთან და ვაჭრებთან ერთად გამგზავრებულა მცხეთას და აქ შესდგომია წარმართ ქართველთა მოქცევას და ჭეშმარიტების ნათელით ხალხის განათვლის საქმეს. მაგრამ, მინამ ვიტყოდეთ იმაზედ, თუ როგორ შეუდგა ის ამ მეტად მძიმე მოვალეობის აღსრულებას, თვალი უნდა გადავავლოთ საზოგადოდ ხალხოსნობის და კერძოდ საქართველოს სარწმუნოებრივ მდგომარეობას და აგრეთვე ქრისტიანობის დამკვიდრებას და გამარჯვებას მსოფლიოში, ვიდრე წმ. ნინოს მოღვაწეობამდის ჩვენ ქვეყანაში.

ხალხნი გამრავლდნენ, განიბნენ მთელს მსოფლიოში, განუსაკუთრდათ მათ ენანი და დაუწყეს მსახურება მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ცხოველთა, წყალს და სხვ., მაგრამ ესეც არ იკმარეს: ოქრო ვერცხლისაგან ჩამოასხეს სახენი (კერპნი) თვისთა ღმერთთა, დასდგეს იგინი ტაძრებში *) და დაუწყეს მათ ვედრება ანუ მსახურება და მოუტანდნენ ხოლმე შესაწირავად, სხვათა შორის, ძეთა კაცთასა. ქართველნიც, როგორც ნოეს შვილის-შვილის შვილთაგან ქართლოსისაგან წარმომდგარნი, არ იყვნენ მოკლებულნი კერპთ მსახურებასა. ძველის დროიდგან იგინი დასახლდნენ არარატის და კავკასიონის მთების შუა, დაიწყეს მეურნეობა, მუშაკობა და თაყვანის ცემა მრავალთა ღმერთთა. პირველად იგინი თაყვანსა სცემდნენ ქართლოსის საფლავსა, რომელიც იყო არმაზში, მცხეთის ახლო გორაზე, მემრე აქვე სხვა და სხვა დროს და აგრეთვე მრავალთა მაღალთა მთების წვეროებზე დასდგეს კერპნი და ესავდნენ მათ. უპირველესნი ღმერთნი ქართველთა იყვნენ: არმაზი, ზადენი, ბოჩი, გაი, გაცი, ანიანი და დანიანი. ბატონიშვილი თეიმურაზ თავის ისტორიაში (გვერ. 51) ასრე აღწერს კერპსა ბოჩოსა: „ესხნეს შვიდნი ხელნი, რომლითაცა ხელმწიფებდა თვითეულითა ხელითა, თვითეულთა უმაღლესთა მათ ყოველთა სხვათა მწვერვალთაგან შვიდთა მწვერვალთა კავკასიისათა და თვითეულსა ხელსა მისსა აქვნდა

*) ზოგნი უარ ჰყოფენ ვაზის ჯვრის მიცემას ნინასთვის და ამბობენ: „ხმა ესმა (ნინას) ზეგარდამო, რომელ ეტყოდა: ვითარმედ ესრეთ იყოს შენიცა წარყვანებათ სასუფევლად წინაშე ღვთისა ჟამსა მას, ოდეს ეგე ეკალ, რომელ არს გარემო შენსა ყოველნივე იქმნეს გარდის ფურცელ სუნნელი, არამედ აღსდეგ და ვიდოდე ჩრდილოდ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი და მუშაკი ყოვლად არა“.

**) დაწვრილებითი ცნობები ამ ჯვარზე იხილეთ „მწყემსი“-ს მე № 7-ში.

*) იხ. დაბადება XI, 1—9. ბაბილონის გოდოლის აშენება, ენების შერევა ანუ იაფეტის, სიმის და ქამის ჩამომავალთა ჩრდილოეთისკენ, დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ გადასახლება და მრავალთა განსაკუთრებულთა ენათა და ტომთა წარმოდგომა ეგუთვნის 3247 — 2716 წწ. ქრისტეს დაბადების უწინარეს.

თვითო ფერი ხელმწიფება: მოფენად სარგებლობისა, წყალობისა გინა რისხვისა".

კერპებს, როგორც ყველგან, ისე ჩვენში, ჰყვანდათ თვისნი მსახურნი ქურუმნი, ანუ მღვდელნი, რომელთაც იცნობდნენ ქურუმებად. ყოველნი ერპთ კმორწმუნენი მოუტანდნენ ხოლმე თავის ღმერთებსა მსხვერპლად: სუნნელოვან ყვავილებსა, რძესა, მაწონსა, ნაღებსა, თაფლსა, კარაქსა, ყველსა, ოქროსა, ვერცხლსა და სხვ. ყოველი შემოწირული კერპთათვის ქურუმთ უნდა გაეყოთ სამ ნაწილად: პირველი ნაწილი ერგებოდა ქურუმთა; მეორე ნაწილს დასდებდნენ ხოლმე ერთ სასტუმრო ოთახში და ყოველნი ღარიბ-ღატაკნი მლოცველნი მივიდოდნენ, შეექცეოდნენ, იშვებდნენ, ილხენდენ და მერმე მიიქცეოდნენ სახლთა თვისთა; მესამე ნაწილს დაურიგებდნენ ხოლმე ტყვეთა, პყრობილთა და დავრდომილთა. ხოლო ყველა ის, რაც იყო ძვირფასეული (ოქრო, ვეცხლი, რვალი და სხვ.), ეკუთვნოდა ტაძარსა და ვერავინ დაისაკუთრებდა. *)

ამნაირად ყოველს ხალხს ჰყვანდა თვისნი ნივთიერნი ღმერთნი და აქვნდათ თვისი კერპთ-მსახურება, ბომონნი და ჰყავდათ ქურუმნი. ყველაზე უფრო ბევრი ღმერთნი ჰყვანდათ ბერძენთ, მისირელთ, რომაელთ და სხვა და სხვა. ზოგი თაყვანსა სცემდა კატასა (მისირელნი), ზოგი ღორსა, ზოგი თხასა და სხვა-და-სხვა. ამ მდგომარეობაში იყო სარწმუნოება ყველა ხალხებში, ვიდრე ქრისტეს მოსვლამდე. ხოლო ქრისტეს სწავლამ მოახდინა დიდი რელიგიური ცვლილება ხალხოსნობის რწმენაში. მრავალგან შეიგნეს მისი კაცის არსების გამაცოცხლებელი და გამაფაქიზებელი სარწმუნოება, დათრგუნეს ბომონნი, კერპნი და მათ ადგილს აღუშენეს ტაძრები ერთ-არსსა ღმერთსა ჩვენსა. მაგრამ ქრისტიანობის საბოლოვო გამარჯვება წარმართობაზე იწყობა IV საუკუნის დასაწყისიდამ. 313 წელს რომის მძლავრმა იმპერატორმა კონსტანტინემ ნება დართო თვისთა ქვეშევრდომთა უშიშრად აღიარებიათ ქრისტე ღმერთი. ამნაირმა ქრისტიანობის წასარჩლებამ იმპერატორის მხრით,

*) იხილე ,,ისტ. დაარს. ივერიისა, ე. ი. გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართ." ქმნილი საქართ. მეათცამ. მეფ. გიორგის ძის თეიმურაზისაგან. გამოც. ს.-პეტერბურგშ. 1848 წელსა. თუმცა თეიმურაზი არ იხსენიებს იმას, რომ ქართველებს შესაწირავად მოჰყვანდათ თვისნი რჩეულნი ყრმანიც და პირიქით უარ ჰყოფს ამ გვარს მსხვერპლს, მაგრამ სხვა მწერალნი დარწმუნებით ამბობენ, რომ, ვითომ, ქართველებს მართლადაც სცოდნოდესთ ყრმების შეწირვა ღმერთათვის და რომ მეფე რევს 200 წლებში ქრისტესით აღუკრძალავს ეს უგუნური ჩვეულება.

ქრისტიანთა წრენი, საზოგადოებანი და ტაძარნი განამრავლა, მაგრამ ქრისტიანობა უმეტესად განმტკიცდა ხალხოსნობაში მაშინ, როდესაც კონსტანტინეს დედამ, მოციქულთა სწორმა ელენემ, იპოვნა სწორეთის ჯვარი, რომელზედაც შემსჭვალული იყო მაცხოვარი ჩვენი. მალე მთელს საბერძნეთს, მცირე აზიას, რომს და გარემოთა ხმელთა-შუა ზღვისათა მოედო ქრისტიანობა. ყველგან ითრგუნებოდნენ კერპნი და შენდებოდნენ ეკკლესიანი და ტაძარნი. *) ამის შემდეგ საქართველოს ერსაც დიდხანს აღარ დაუყვია ურწმუნოებაში: სულ ხუთი წელიწადი, ესე იგი 313 წ. 318 წლამდე. სწორეთ ამ დროს საქართველოს მეფედ იყო მირიანი.

265 წელში ქრისტეს აქეთ ფარნაოზიანთა — ნებროთიიანთა და არშაკუნიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი ასფაგური მოკვდა. მას დარჩა მხოლოდ ერთი ასული. მაექან სპასალარმა ყველა ქართველ ერისთვებს და წარჩინებულთ მოუყარა თავი მცხეთაში სათათბიროდ იმის შესახებ, თუ ვინ დასვან მეფედ საქართველოისა. ამ კრებას მაექანმა მოახსენა: ,,მოიკლა სპარსთაგან დიდი მეფე სომხეთისა; დაპყრობილ იქმნა: პართია, სირია, მიდია და იძლია რომი; სპარსთა მეფის ვანზრახვა არის შთანთქას მთელი ჩვენი ქვეყანა, დარჩენილი ობლად და არავინ არის ჩვენში იმისი წინაამდგომი; გამოვთხოვოთ სპარსთა მეფეს საკუთარი ვაჟი ჩვენ მეფედ და შევეხვეწოთ, რომ შერთოს იმას ცოლად ასული ასფაგურისა იმ პირობით, რომ იმისმა შვილმა აღიაროს სჯული ჩვენი და აღიაროს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა..." მოხსენებული მეფე სპარსთა იყო ქასრე ანუ ხოსრო სასსანიდი, რომელიც ის-ის იყო ასულიყო სპარსეთის ტახტზე. ქასრემ წამოიყვანა საქართველოში თვისი ვაჟი, 7 წლის მირიანი. ნაშობი ხევლისა, შერთო ცოლად ასული ასფაგურ მეფისა, დაუმორჩილა მას საქართველო, რანი, მოვაკანი, ჰერეთი, სომხეთი და ყოველნი მთიულნი კავკასიისანი და უბრძანა მირიანს და იმის ლალას მირვანოზს, რათა ებრძოლონ ხაზართა. მირიანს

*) ქრისტიანობის გამარჯვებისათვის არა მცირედი ღვაწლი მიუძღვით შემდეგთა გამოჩენილთა მეორე და მესამე საუკუნეებში მქადაგებელთა, რომელთაც ღირსეულად განაგრძეს მოციქულებისაგან დაწყებული საქმე: რომის ეპისკოპოს კლიმენტოსს, შეპყრობილს ტროიანესაგან კიმმერიოს ბოსფორში. ამან შავის ზღვის პირებზე ააშენა 70 ეკკლესიანი, ამათგან ერთი კოლხიდაში; ეგნატეს, ანტიოქის ეპისკოპოს; იუსტინე სამარიელს; პოლიკარპს სმირნის ეპისკოპოს, ირინეს, ლიონის ეპისკოპოს; კიპრიანეს კართაგენიისას და სხ. (ისტ. საქართველ. თავ. ს. ბარატოვისა, ნაწილი II და III გვერ. 7).

უბრძანა ყოფილიყო ორსავე სჯულსა-ზედა: „მამათა ჩვენთა ცეცხლის მსახურებასა და თქვენთა (ქართველთა) კერპთასა“. დაუტოვა თვისსა ძესა 40,000 მხედარი და წარვიდა სპარსეთად.

მცირე წლოვანმა მეფემ დიდად შეიყვარა ქართველნი, ისწავლა ქართული ენა, ზნე, ჩვეულებანი, „შეამკო კერპნი და ბომონნი და კეთილად იპყრა ქურუმნი“. 15-ტი წლისას მოუკვდა მეუღლე და „მოიყვანა მეორე ცოლი საბერძნეთით — პონტით, ასული ოლიოტორისა „ნანა“.

აი ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც მცხეთაში, როგორც უკვე ვსთქვით, შემოვიდა წმ. ნინო. *) იმ დღეს, როდესაც ნინო შემოვიდა მცხეთაში, იყო არმაზის და ზადენის დღეობა (6 აგვისტოს). მეფე, დედოფალი ნანა, ერი მრავალი, ჩაცმულნი ფერად-ფერადად, აღიოდნენ არმაზის გორაზე ღმერთების თაყვანის საცემლად. წმ. ნინაც ავიდა და ნახა მდგომარე კაცი ერთი სპილენძისა, რომელსა ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი ოქროსა და თავსა მისა ჩაფხუტი ოქროისა, სამხრენი და თვალნი მისნი იყვნეს ზურმუხტისა და ბიკრიტისანი და ეპყრა ხმალი ხელსა მისსა ელვარე და ბრწყინვალე... და კვალად მარჯვენით მისსა სხვა კერპი, სახითა კაცისათა მდგომარე, სახელი მისი გაც და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა და სახელი მისი გაიმ.“ ყოველანი თაყვანსა სცემდენ ამ ღმერთებსა. ამის მხილველი ნინო შეძრწუნდა და შეევედრა ღმერთსა, რათა სასწაულებრივ განებნია გული ესე უმეცართა. ვედრება წმიდანისა შესმენილ იქმნა. ასტყდა საშინელი ქარიშხალი, ქუხილი, მოვიდა საშინელი წვიმა; ხალხი სწრაფად გაიფანტა ქალაქისკენ და სოფლებისკენ; სეტყვამ შემუსრა კერპნი, რომელნიც შთაიბნივნენ კლდეთა ნაპრალთა მათ შინა. მეორე დღეს რომ წარმართთა ველარ იხილეს თვისნი ღმერთნი, მიზეზად უბედურებისა სცნეს რომელიმე ღმერთი, განრისხებული მათზე.

მესამე დღეს წავიდა ნინო მცხეთაში; აქ მეფის ბაღის ახლოს გაიკეთა მაყვლის ქოხი, შიგ დაასვენა ვაზის ჯვარი, დაიწყო ლოცვა და ქადაგება. პირველად მან მოაქცია ქრისტეს სჯულზე ურიის მღვდელი აბიათარი და ასული მისი სიდონია და სხვანი ექვსნი კაცნი; აგრეთვე განუკურნა მეფეს დიდი ხნის სნეული მეუღლე-ნანა. ამ ნაირად ქადაგებდა ნინო ქრისტეს სჯულსა 3 წლის განმავლობაში და ბოლოს 318 წელსა მისმა სწავლა-ქადაგებამ მირიანიც შეიპყრო და მანაც ისურვა ქრისტიანობის მიღება. წმ. ნინოს რჩევით მეფემ იმპერატორს კონსტანტინეს აცნობა თვისი გადაწყვეტილება და სთხოვა ღვდლები და ეპისკოპოსი. იმპერატორი და დედა მისი ელენე აღივსნენ სიხარულითა დიდითა, წარმოუგზავნეს მეფეს ეპისკოპოზი ესტატე, მღვდელნი მისთანა და აგრეთვე ნაწილი ძელისა ცხოველ-მყოფელისა, ესე იგი ფიცარნი, რომელსა ზედა ფერხნი უფლისა იესოსი დამჭვალეს ურიათა, აგრეთვე ერთი ლურსმანთაგანი, რომლითაც გაკრული იყო ქრისტე და ხატები: მაცხოვრისა და ღვთის-მშობლისა მარიამისა. რამწამ სამღვდელო პირთა მოაწიეს მცხეთას, მეფე მირიანმა შეჰყარა თვისნი ქვეშევრდომნი და მტკვარში მოინათლა. ურიათაგან გაინათლნენ მხოლოდ 50 პირნი, ჩამომავალნი ავაზაკის ბარაბასი, რომელთაც ამის გამო მეფემ უბოძა დაბა ციხე-დიდი. ააშენა მცხეთაში ეკკლესია და დასდგა რამდენიმე ჯვარი ხალხის თაყვანის საცემლად.

მოსე ჯანაშვილი.

*) ეჭვს გარეშეა ის ფაქტი, რომ წმ. ნინო ყმაწვილობითვე იყო ქრისტიანობის დიდი მორწმუნე მვედრებელი, მით უმეტეს, რომ მისი სამშობლო იყო კაპადოკია, რომელშიაც პირველ საუკუნეში ქრისტეს შობიდგან იყვნენ მრავალნი ქრისტიანენი; მესამე და მეოთხე საუკუნეებში კი აქ არ იპოვებოდა არც ერთი კერპთ-მსახური. ამ დროს აქ იყო 50 საეპისკოპოსო საყდარი ანუ ეპარქია: კესარიისა, ნისიისა, თერმისა, ტიანისა, ციბისტრისა, ნაზიანზისა, მელიტინესი და კომანისა და სხ. ჩინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმ. გრიგოლი თავმატ. ბასილი კესარიელი, გრიგორ ნისელი და სხ. მრავალნი სახელ გათქმულნი და ჩინებულნი მწერალნი (იხ. ვალიჩის ისტ. კაპადოკიისა, სტრამონი, წიგნი 12, § 3 სტატიაში დ. ი. ჩუბინაშვილისა, ეტნოგრაფ. განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.

## გორის სასულიერო სამასწავლებლო მაზრის დაყოფა სადეპუტატო განყოფილებათ.

1882 წლის ნოემბრის თვეში მომხდარს ეპარქიულ კრებაზე, ქალაქ ტფილისში, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პავლემ, მისცა წინადადება სამღვდელოებას, რომ ეპარქიის ყველა სასულიერო სამასწავლებლო მაზრები დაეყოთ ათ-ათ კრებულათ და თვითეულ ამ-გვარ განყოფილებაში დაენიშნა საშუალო პროხოდები სამასწავლებლო მაზრულ და საეპარქიო კრებებზედ წარსაგზავნ დეპუტატთა ამოსარჩევ ადგილებად. ამ თხოვნის აღსრულება სამჯობი-

ნარო არისო, განმარტა თვით მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, პირველად იმისათვისო, რომ ყველა სამასწავლებლო მაზრებიდგან კრებებზედ გამოცხადდება მუდამ ერთი და იგივე დეპუტატთა რიცხვიო; და მეორეთ იმისათვისო, რომ ამ გვარად ამორჩეულ დეპუტატთა, როგორც თავიანთ განყოფილებებში ერთი-ერთმანეთზედ დაახლოებულ ეკკლესიათა მდგომარეობა, მათი სიმდიდრე და სიღარიბე, აგრეთვე ამ ეკკლესიის კრებულთა შეძლებაც და შეუძლებლობაც უფრო კარგათ ეცოდინებათო და ამ გვარი ცნობები ბევრჯელ ფრიად საჭირონი არიან ხოლმე კრებებზედო. ეს კეთილი აზრი კრებამ მიიღო და მაშინვე შეუდგა მის აღსრულებას. იმან ამ აზრის აღსასრულებლად დანიშნა საკუთარი კომისიები და მათ წევრებათ აღირჩია კეთილ-საიმედო, მცოდნე და გამოცდილნი პირნი, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ, რომ ეს საქმე ჩქარა და წესიერად აღესრულებიათ. სხვათა შორისა გორის სასულიერო სამასწავლებლო მაზრის ესრეთ დასაყოფად დაინიშნა კომისია, რომლის წევრებად კრებამ აღირჩია ბლაღოჩინნი: დეკანოზი იოსებ სიმონოვი და გრიგორი დავიდოვი. ამათ დაჰყვეს ეს მაზრა და შეადგინეს ამ განყოფილებათა სია, რომელიც მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პავლემ, უკვე დაამტკიცა და ნამდვილი წარმოუგზავნა ბლაღოჩინს სიმონოვსა სახელმძღვანელოდ დეპუტატთა აღრჩევის დროსა. როგორც წინეთ ამბობდნენ, ბლაღოჩინთ მღვდელთ იოსებ სიმონოვსა და გრიგორი დავიდოვს ძალიან კარგათ ცოდნიათ საზოგადოდ გორის მაზრა და მასში მყოფი პრიხოდების და ეკკლესიების მდებიარობა. ამათ შემდგარ სიიდგან სჩანს, რომ გორის სასულიერო სამასწავლებლო მაზრა განიყოფება თხუთმეტ სადეპუტატოდ:

საფუძვლად მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პავლეს, ჰაზრისა სასულიერო სამასწავლებლო მაზრების ესრეთ დანაწილებაზედ არის მიღებული სასულიერო სასწავლებელთ წესდებათა მე 21 მუხლი და უწმიდესის სინოდის დადგინება, 13 — 20 დეკემბრიდგან 1867 წ., რომლებითაც სამღვდელოებისაგან ითხოვება ათ კრებულზედ ერთი დეპუტატის აღრჩევა. ეს ხომ ასე იყო და ასეც არის, მაგრამ აქამდისინ ამ მოთხოვნილების აღსრულება ძალიან ძნელი იყო ჩვენში, რადგან დეპუტატები ირჩეოდენ ხოლმე საბლაღოჩინოებიდგან და ყველა საბლაღოჩინოს კი ერთი და იგივე კრებულთა რიცხვი არ შეადგენს. საბლაღოჩინოთა უმეტეს ნაწილს შეადგენს თერთმეტიდგან ვიდრე თვრამეტ კრებულამდისინ და ყველა ესენი ერთნაირად არ ირჩევდენ თვის შორის დეპუტატთა: ზოგიერთა ამ საბლაღოჩინოების მღვდელნი ბევრჯელ საკმაოდ ხედავდენ თითო დეპუტატის არჩევასა და ზოგჯერ კი იგივენი ორ-ორ დეპუტატს ირჩევდენ. ამის გამო კრებებზედ ხან მეტი იყო დეპუტატთა რიცხვი და ხან იმაზედ ნაკლები. ამ გვარ გარემოებას ხშირად ცუდი გავლენა ჰქონდა ხოლმე რომელიმე კითხვების განხილვაზედ, რადგან ეს კითხვები ბოლოვდებოდენ ხმის უმეტესობითა. გარდა ამისა ზოგ საბლაღოჩანოში ერთი პრიხოდი მეორეზე დაშორებულია 25, 26 და 28 ვერსზედ, ამ დაშორებულ პრიხოდების მღვდელთ არ შეეძლოთ საბლაღოჩინოს ყველა პრიხოდის ეკკლესიების და კრებულთა გარემოებების, მათი სიმდიდრის და სიღარიბის ცოდნა, რომლის გამოც ამ მღვდელთაგან დეპუტატებათ აღრჩეულნი პირნი ბევრჯელ მოკლებულნი იყვნენ ხოლმე საჭირო ცნობებსა კრებებზედ. დღეის შემდეგ კი, იმედია, რომ ყველა ამ უწესოებათა ბოლო მოეღებათ და ამისათვისაც სასულიერო სამასწავლებლო მაზრათა აწინდელი დანაწილება უნდა ჩაითვალოს სასწავლებელთა კეთილ წარსამატებელ საშუალებათ.

☞ საქმეში ერთი რამა რჩება გაუგებარი ჩვენთვისა: ზემო ხსენებულ სიას საქართველოს ექსარხოსის კანცელარია გარდმოსცემს რა ბლაღოჩინს სიმონოვსა, 7 დეკემბრიდგან 1883 წ. № 2207-თ, მოუწერს მას: ,,აწინდელი სია, დამტკიცებული მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისაგან, წარიგზავნების ბლაღოჩინის იოსებ სიმონოვისადმი სახელმძღვანელოდ, რათა ამ სიით იხელმძღვანელებდენ ხოლმე დეპუტატთა აღრჩევის დროსა, როგორათაც მაზრეულ, აგრეთვე ეპარხიულ კრებებისათვის“. პირ-და-პირი და მხოლობითი ჰაზრი ამ მოწერილობისა არის ისა, რომ მითი უნდა ვიხელმძღვანელოთ დეპუტატების არჩევის დროსა ე. ი. რომ გორის სასულიერო სამასწავლებლო მაზრის თვითეულ განყოფილებათა კრებულნი საკუთრათ უნდა აღირჩევდენ თვის შორის დეპუტატებსა. მაგრამ რა უნდა ითქვას შესახებ იმ განყოფილებათა, რომელთ კრებულთა რიცხვში არ შედიან თვით ბლაღოჩინები და ან რომელთაც შეადგენენ სხვა-და-სხვა საბლაღოჩინოებში მდებარე ეკკლესიების კრებულნი? ამ უკანასკნელთა ვინ უნდა აცნობოსთ ხოლმე დრო სამასწავლებლო მაზრეულ ანუ ეპარქიულ კრებებისა, ვინ უნდა მოიწვიოს იგინი დანიშნულ ადგილებში დე-

პუტატების ამოსარჩევად და ან ვინ უნდა დაიცვას ხოლმე ჯეროვანი წესიერება ამ კრებაზედ: თვით ბლაღოჩინებმა, თუ განყოფილებათა რომელთამე მღვდელთა. უკანასკნელ შემთხვევაში ამ მღვდელთა ვისგან უნდა მიეცესთ ხოლმე განკარგულება: ბლაღოჩინებისაგან თუ თვით ექსარხოსისაგან? აი ეს არის ჩვენთვის გაუგებარი და ამასა ვთხოვთ ბლაღოჩინს დეკანოზ იოსებ სიმონოვსა, რომ ყველა ეს იკითხოს, ვისთანაც ჯერ იყოს, და ნამდვილი გვაცნობოს სამღვდელოებასა, ამავე გაზეთის შემწეობითა.

ვაჟის მღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი
იოანნე მახარობლიძე.

---

## სვანეთიდამ.

### I.

სამოქალაქო და სასულიერო უწყებამ კარგად იციან, რომ სვანეთისთანა დაცემული და ღარიბი მხარე და უგზოობით მიგდებული ადგილი ძალიან ძვირათ სადმე მოიპოება. თუმცაღა ყოვლად უსამღვდელოესმა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, რამოდენიმე-ჯერ აცნობა იმ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების რჩევას ნაკლულევანებანი სვანეთის ეკკლესიებისა, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა. აქამომდე მღვდლებისთვისაც არ მიუქცევიათ ყურადღება. მთელს სვანეთში ერთს ეკკლესიასაც ვერავინ ნახავს, რომ საკმაოთ ჰქონდეს მასალა და სამკაულნი წირვა-ლოცვისთვის საჭირონი. დაწესებული ყოფილა; ზედაშე და სეფისკვერის ფასი ყოველს ეკკლესიაზედ და სანთელ-საკმეველი; შესამოსლები განათვლის დროს დაურიგებიათ. ჯერ ზედაშე-სეფისკვრის ფასი მოუსპიათ სვანეთში, მერე სანთელ-საკმეველიც აღარ გამოგზავნეს. შესამოსელნი მეტად ძველნი, რომელნიც ეხლა სახმარებლად აღარ ვარგან, ს. ლატალის მღვდელმა ანალოგიის ძველი საფენი, გამოიკერა ფილონათ. მცირე ჯამაგირიდამ ზედაშ-სეფისკვერი და სანთელ-საკმეველი რომ ისაშუალონ მღვდლებმა, ისეც დიდია, რადგან სხვაგან არსად ხარჯავენ მღვდლები თავის საკუთრებას, როდესაც უფასოთაც შეუძლიათ ესეები იშოვონ. ხოლო შესამოსელი, ბარძიმ-ფეშხუმი და მისი მოწყობილებანი საიდამ და რომელის საშუალებიდამ იყიდოს მღვდლებმა სვანეთში? ბარძიმ-ფეშხუმიც არ გამოუგზავნიათ ზოგან. ძველ დამტვრეულს კალის ბარძიმ-ფეშხუმს ხმარობენ. რა უნდა ჰქნას აქაურმა სამღვდელოებამ? სულიერად და ხორციელად დასჯილნი არიან!!... დიდი სამადლობელი კი იქნება, რომ ამაზედ განკარგულებას რამეს ინებებდეს, ვისიც რიგია. — ბოლგარიაში და საბერძნეთში იგზავნება მრავალი შეწირულებანი და ეხმარებიან ხალხს. აგერ გვერდზე გვყავს ხალხი, რომელშიაც ქრისტიანობის გავრცელებას უნდა დაეხმარონ და მათ ყურადღებას არავინ აქცევს!..

---

### II.

სვანეთი განიყოფება სამ ნაწილათ, ერთი ნაწილი თავისუფალია; მეორე საბატონო და მესამე სადადიანო. თავისუფალი და საბატონო ზემო სვანეთი 11 სამამასახლისოა და სადადიანო 3 სამამასახლისო. ყველა შეადგენს 14 სამამასახლისოს. სვანეთში სულ 1787 კომლია და 13435 სულნი; ამათ აქვთ საკუთარი ენა. ზემო სვანეთის განათვლის დაწყებიდამ თითქმის ნახევარი საუკუნო სრულდება. სადადიანო სვანეთში დიდი-ხანია ქრისტიანობა მიიღეს. საუბედუროთ, სვანეთში, სადაც ორიათასამდე მცხოვრებნი არიან, ერთი სასწავლებელიც არ არის. 1871 წელში „ქრისტიანობის აღმადგინებელმა საზოგადოებამ“ გახსნა სასწავლებელი ს. მესტიაში და მასწავლებელიც გამოგზავნა. სანამ 10 მოსწავლე შეიკრიბებოდა, სასწავლებელი კიდეც დაიხურა. შეგირდები დარჩნენ პირ დაღებულნი. წასრულს წლებში ერთმა დოქტორმა რეიხმა 4000 მ. სკოპინის ბანკის ბილეთები ანდერძით შესწირა შკოლის საქმეს, მაგრამ, სვანეთის საუბედუროთ, სკოპინის ბანკი გაკოტრდა! რათ მოხდა ასე, რომ არც სახორციელო და არც სასულიერო მართებლობა არ ხსნის სვანეთში შკოლას? შუაგულს ზემო სვანეთში, ს. მესტიას, ადგილობით პრიხოდის მღვდელს ა. ჭურციკიძეს გაუხსნია თავის სადგომში პრიხოდის შკოლა! შეუკრებია 20 შარგიდი ორისავე სქესისა და დაუწყია სწავლება, მისის მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ნებართვით. ამას წინეთ მე შევედი ამ შკოლაში; ჩემ შესვლაზე ამ შეგირდებმა იგალობეს რუსულათ მეუფეო ზეცათაო (Царю небесный), ხატისკენ პირჯვარი დაიწერეს და თავი დამიკრეს. მივიხედ-მოვიხედე, ერთ ხანს ვერ წარმოვიდგინე, თუ სად ვიყავი. შკოლაში ყველა ბავშებს აქვსთ საკუთარი საკითხავი სხვა-და-სხვა წიგნები, საწერლები, ახალი კალმის ტარები, საწერი ქაღალდები, პატარ პატარა გრეფილები, საწერი დაფები და სხვა-და-სხვა ნივთები.

ვკითხე მ. ძურციკიძეს, თუ ვინ მისცა მას ეს წიგნები! მიპასუხა: ,,შემდგომ ეპისკოპოსის ნება-რთვისა მე წაველი თფილისში და ვსთხოვე ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შემწეობა და ამ საზოგადოებამ მაჩუქა 20 დედა ენა, 10 ბუნების კარი, 20 პატარა დაფები თავის გრიფილებით და თვითონ ჩემთვის სხვა-და-სხვა საკითხავი წიგნები.,, ამასთანავე ადგილობითი პრისტავს უ. მარჯანოვს უნებებია შეწირვა ამ შკოლისათვის საწერლებისა, კალმებისა, საწერი ქაღალდისა და შკოლის პატარა ზარისა (ზარაჯერეთ არ არის ნაყიდი). სტოლები, სკამები და კლასის დაფაც თვითონ მ. ძურციკიძეს მოუხერხებია. Თვითოეულათ ვკითხე ამ შეგირდებს, რომელთაც კარგათ იციან წაკითხვა და წერაც ნამეტურ ქართულათ. Დიდათ ვისიამოვნე, ნამეტანი სიხარულით თვალები ცრემლებით ამევსო. ხატს სანთელი აუნთე და ჩემს პატარა შეგირდებს სამადლობელი პარაკლისი გარდუხადე და დარიგება მივეცი. — ჩემი სვანეთის თანა მგრძნობელ მასწავლებელს დიდი მადლობა შევსწირე, რომ მას უკისრია ეს კეთილი საქმე. Საზოგადოდ ვიტყვი: მ. ძურციკიძემ ამ შემთხვევაში დიდი საქმე უქნა სვანეთის მხარეს შკოლის გახსნით. Შკეთუ კეთილად განაგრძო მან ეს საქმე, ღირსია, რომ მართებლობამ სახეში იყოლიოს იგი.

სვანეთის მისიონერთაგანი მღვდელ-მონაზონი Თეოფანე.

---

## დღეობა მაღალ-ძუარში.

...Ზაფხულის ძრიელმა სიცხემ მძიმე ავათ გამხადა. Დატრიალდა მაშინვე დედა ჩემი. ,,Არიქა ჩიტო, მკითხავთან აირბინე, თორემ დაგვიღუპე,“ უთხრა მან ბიძა ჩემს, რომელიც მაშინათვე გაექანა ,,ბირადა—მკითხავთან.“ საღამო ხანი იყო, როდესაც ჩიტო დაბრუნდა და გვიამბო შემდეგი: ,,ძალიან გაწყრა ბირალა, რატომ მაღალ-ძუარში (რომელიც Ოსეთის შუა ადგილს იმყოფება) არ დადიხართო?!.. მხლავე მოემზადეთო, იშოვეთ ბატკანი, ზარი და ეხლავე გაემგზავრენით მაღალ-ძუარშიო.“ მეტი ღონე აღარ იყო, ან როგორ შეიძლებოდა მკითხავის ბრძანება არ აგვესრულებინა?! მესამე დღეს, როდესაც უფრო კარგათ შევიქენი, გავემგზავრენით ცხენებით დანიშნულ წმიდა ადგილას. ჩვენი გზა მიდიოდა Ქლარსის და Ზუდისის მაღალ მთების წვერებზედ. Ეს მთები ეკუთვნიან მაჩაბლებს დ Ერისთავებს, რომელთ ცხვარიც აქ მაშინ საძოვრად იყო. Ქლარსის მთაზე ჩემმა თანა-მოგზაურებმა მაჩვენეს ერთი ეკკლესიის ნანგრევი, რომელსაც უძახოდნენ ,,მიქელ-გაბრელს.“ Ამ ეკკლესიაში, როგორც ოსები ამბობენ, წინედ ზგრები სცხოვრებდენო. (Აშკარაა, რომ ეს მონასტერი იქმნებოდა და, როგორც ამბობენ, Თამარ დედოფალს აუშენებია). Აქვე ,,მას ჟამსა შინა“ იმალებოდა სომხების ბატონი-შვილი Თაგაური, რომელიც თავის ძმებს გამოექცა ოსეთში და აქ მისი შთამომავლობა ,,Თაგია-ფრთები“ (ჩოჩიშვილები, Თომაშვილები, Თიბილაშვილები და სხვ.) ,,Ალდარები“ (თავადები) გახდნენ *). Გზაზე აგრეთვე მაჩვენეს ქვით აშენებული ქოხები, რომელებშიაც რკინის დაწყვეტილი საკიდებლები ეწყო, მითხრეს, ეს მეხი რომ ჩამოვარდნილა იმისაგან დარჩენილა და აქ ყოველ წელს ოსები მსხვერპლს მოუტანენ ხოლმე გაჩილდასაო (ომის, ელვის და ქუხილის ღმერთს). Როგორც იყო საღამომდის ჩვენ ავედით სოფ. Სუაჩხურში და ერთ ოსის სახლში დავდექით. Ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჩვენთან ერთი ჩვენი ნათესავთაგანი და გვითხრა: ,,წამოდით სხვაგან, თორემ ამათთან მდევები დადიანო და საშიში არისო“, მაგრამ მე უარი უთხარი, დავრჩი იმ ღამეს იქ და ყურს ვუგდებდი ქალების ლაპარაკს მდევებზე...

Ჩეორე დღეს უნდა ავსულვიყავით ძალიან მაღალ მთაზე, რომლის წვერზედაც აშენებული არის ეკკლესია (ძუარი). Ავედით თუ არა მთის ერთ წვერზე, ყველამ დავიხადეთ ფეხსაცმელები და მთის მეორე წვერზედ უნდა გავსულვიყავით. Მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც მე ეკკლესიის მაგიერ დავინახე ქვით აშენებული პატარა ქოხი, რომელიც გარშემო შემორტყმული იყო აბრეშუმის ძაფებით. Ქოხთან იდგა ერთი მუხის ხე, რომელზედაც ასამდე ზარი ეკიდა. Მუხასთან იდგა ,,დეკანოზი,“, ხალხისაგან ამორჩეული **), რომელსაც ერთ ხელში ეჭირა ჯიხვი ლუდითა და მეორეში — ხაბიზჯინა (ხაჭაპური) და ყველას, ვინც კი მიდიოდა მასთან, ჰლოცავდა. Უკანასკნელს უნდა შეეტანა თავის

---

*) ეს უკანასკნელი ბატონ-ყმობის დროს თავისუფლები იყვნენ ზოგიერთების მეტი, რომელნიც თავის ნებით ქართველ თავადების მამულებზე დასახლდნენ.

**) ამ ოსებს, თუმცა ისინი ქრისტიანებად იწოდებიან, მაგრამ ჩვეულებანი აქვსვსთ კერპთ-მსახურული. თუმცა ამ სოფელში მღვდელიც არის დანიშნული, მაგრამ ხალხისაგან ამორჩეულ ,,დეკანოზს“ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას.

ავტორი.

მხრით ფული დეკანოზისათვის. „ოქროს ძვერიანო ვასჯირჯი, რომელიც ბრძანდები ირონისტანის სამსამზღვარში, ბურსამძელის მაღალ წვერზე, უწყალობე შენ მონებსაც," ასე ამბობდა „დეკანოზი" ყველაზე, ვინც-კი მივიდოდა მასთან დასალოცავად... ძალიან საკვირველ მოვლენას შეადგენს ოსეთში ყოველ წლივ სალოცავებში სიარული. აქ მაგალითად იმყოფებოდნენ სოფ. მეჯვრისხევიდამაც, რომელიც ოთხმოც ვერსტზე შორ არის ზემოხსენებულ სოფლიდამ.

ამ ეკლესიაზე ოსეთში ითქმის მრავალი ლეგენდა, ვითომც ვასჯირჯის უწინ აქ ეცხოვროს და სხვ. ამ ძუარს, როგორც მითხრეს, ძალიან შემოსავალი ჰქონია. სოფ. სუაჩხურში ერთი კაცი იმიტომ გაგიჟებულაო, რომ ამ ძუარიდამ მრავალი ოქრო და ვეცხლი წამოიღოვო. საზოგადოდ ამისთანა „ძუარებს" დიდი მნიშვნელობა აქვსთ ოსეთში.

გიორგი ლიახველი.

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

გორის მაზრის სოფლის ჯავიდამ ჩვენ გვწერენ შემდეგ ამბავს: „ერთმა პეტერბურღელმა ინჟინერმა ნიკ. როზოვმა ამას წინედ თავის სიკვდილის წინ ანდერძით დაუტოვა „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას" სახლი, ღირებული 10,000 მანეთად. გაიგო თუ არა ეს ამბავი ჯავის ბლაღოჩინმა, მ. ზურაბ ჯიოშვილმა, მაშინვე შეჰკრიბა სოფლის მცხოვრებნი და ჯავის ეკლესიაში გარდიხადა პანაშვიდი მიცვალებულის როზოვის სულის მოსახსენებლად. ეკლესიაში იმყოფებოდნენ აგრეთვე მწკვრივად დაწყობილნი ჯავის სასოფლო სკოლის შეგირდები თავის მასწავლებლითურთ. სანამ პანაშვიდი დაიწყებოდა, მამა ჯიოშვილმა მიჰმართა იქ მყოფთ მოკლე სიტყვით, რომლითაც აუხსნა მათ ეკლესიაში მოგროვების მიზეზი, უთხრა, რომ რადგანაც თქვენი სკოლა „ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოების„ ხელშიაო, ამიტომ ყოველი მისთვის ფულისა, თუ სხვა ნივთიერებით შეწირვა უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩვენ სარგებლობადაცაო. „ამიტომ, დაათავა თვისი სიტყვა მ. ჯიოშვილმა, მე მოგიწვიეთ თქვენ, რათა აქ ერთად გულმხურვალედ ვთხოვოთ უფალს, რათა მან განუსვენოს სული ამ პატიოსანი კაცისა მენეთში (სამოთხეში)."

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ მარტის თვეში სოფ. ნებოძირის (შორაპნ. მაზრ.) წმ. გიორგის ეკლესია გაუტეხიათ და შვიდ მანეთად ღირებული სანაწილე გაუტანიათ. სხვასაც ბევრს წაილებდნენო, ამბობს კორესპონდენტი, რომ ამ სოფლის მღვდელს მ. იოანნე ფერაძეს არ გამოეცილებია საყდრიდგან, რაც ძვირფასი ნივთები ინახებოდნენ მასში...

* * *

სოფ. მოლითიდამ (შორაპნ. მაზრ.) გვწერენ შემდეგ ამბავს: „აქ არიან ორი გადარეულნი და-ძმანი, რომელნიც მხეცებივით ღამეს ტყეში ათევენ ხშირად. ფრიად დიდი ვნება მოაქვსთ სოფლებისთვის: სჭრიან ვაზებს, ხეებს, ფიცრებს და სხვა... სწორედ საბრალო შესახედავნი არიან ორნივე. საჭიროა, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს იმ საბრალოებს, რომ ნადირის მსხვერპლებად არ გახდნენ. საკვირველია, რომ პირუტყვებს ჰყავთ დამცველი საზოგადოება და პირმეტყველებს კი არა...

* * *

როგორც სჩანს საეკლესიო წმიდა სამთლის დუქნის გამგებლის ბ. იაკობ ფხაკაძის შედგენილ ანგარიშისაგან, წარსულს წელში გაყიდულა იმერეთის ეპარხიაში 168 ფუთი სანთელი. „ყველაზე მეტი სანთელი, ამბობს თავის ანგარიშში ბ. ფხაკაძე, წაიღეს მმ. ჩეიშვილის და კიკაჩეიშვილის საბლაღოჩინოებშიო; თვითეულმა მათგანმა თორმეტ-თორმეტი ფუთი წაიღო". შორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში იყო წაღებული წარსულს წელში საეკლესიო დუქნიდგან თექვსმეტი ფუთი, მაგრამ თექვსმეტი ფუთი ათ ფუთათ უჩვენებია ბ. ფხაკაძეს და რა მიზეზისათვის დაუმცირებია ეს რიცხვი, ვერ გაგვიგია!..

* * *

ჩვენ მრავალნი პირნი გვთხოვენ შევატყობინოთ ამბავი შესახებ იმერეთის ეპისკოპოსის 25 წ. მსახურების იუბილეის დღესასწაულობისა. 25 წლ. იუბილეის დღესასწაულება კანონით აღკრძალულია, თუ მოსამსახურე პირს ერთ ადგილზე არ შესრულებია 25 წლის მსახურება. და რადგან იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს ოცდა ხუთი წელიწადი შეუსრულდება 1885 წლის 8 სეკტემბერს, მაშინ მოხდება ეს დღესასწაულობაც. სინოდის უქაზიც ამ აზრის არის, რომელიც მოვიდა იმერეთის ეპარხიის სამღვდელოების თხოვნაზე.

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

„მწყემსი“-ს მე 6 №-ში ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო ჩვენ რამდენიმე სიტყვა გამოვსთქვით; იმედი გვქონდა, რომ ჩვენი სიტყვები არავის მისცემდა მიზეზს ტყუილ-უბრალო წერისა და ბჭობისას, მაგრამ სამწუხაროდ, ძლიერ მოტყუვილებული დავრჩით. „დროებამ“, ხამჯერ თითქმის, თავის გაზეთის ნახევარი ადგილი დაუთმო ამ ჭეშმარიტების აღდგინების გამო უბრალო და უსაფუძვლო ნაწერს. ამასთან დიდ იმედს გვაძლევს, რომ ხიმუნწეს არ გაგვიწყვეს შემდეგშიაც ამისთანა ნაწერებით...

ყოველ ხინიდისი, პატიოსნება და ზრდილობა აქვს ყოველთვის პოლემიკურ და ჭეშმარიტების აღდგინების გამო წერის დროს ერთი რამ უნდა ახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დაივიწყოს. ეს ერთი რამე გახლავსთ ის კითხვა, რომელზედაც ბჭობა და წერა არის აღდგენილი. ეს პირველი კითხვა და თავი ასახსნელი აზრი ნიადაგ ხახეში უნდა ჰქონდეს ორივე მხარეს და არასოდეს ერთი კითხვიდამ, მეორე სულ სხვა კითხვაზედ, არ უნდა გადავიდენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უბრალო ჭეშმარიტება ჯერეთ კიდევ არ გაუგიათ ზოგიერთებს, ან აქვს გაგებული, მაგრამ განგებ ერთი კითხვიდამ მეორეზე გადადიან, თავ სალაპარაკო საგანს სტოვებენ და მძიმეს და წერტილის უკანონო დასმაზე გადიტანებენ ბაასს. ერთი სიტყვით, არც ერთ სამარცხვინო ღონისძიებას არ მოერიდებიან ოღონდ თავის თავი მართლად დაანახონ თავიანთ მკითხველებს. ახტეხენ იმისთანა საგნებზე ბაასს, რომელიც პირველ კითხვას არ შეეხება...

ყველა ამ ზემო ნათქვამი სიტყვების დასამტკიცებელად ჩვენ მოვიყვანთ რაც იყო დაბეჭდილი „მწყემსში“ და „დროებაში“ და ვითხოვთ მკითხველთაგან ცოტა დროებით ყურადღებას, რომ ცხადათ დავანახოთ მათ მართალი და მტყუანი მხარე.

„დროებაში“ იყო დაბეჭდილი შემდეგი ამბავი:

„ამას წინად ერთი პირის განკარგულებით შემოღებულ იქმნა იმერეთში, რომ მღვდლებს არ შეეძლოთ ჯვარის დაწერა, თუ სამეფო რამდენსამე ლოცვას ზეპირად ვერ იტყოდა. ამ სამძიმო განკარგულებას ისიც ემატება თურმე, რომ ჯვარის წერის წინად, როგორც საქმრომ, ისე საცოლომ რამდენიმე მოწმობა უნდა წარმოადგინოს უყველანი სამ აბაზიანი მარკებით: უბრალო მოწმობა (?!), მეტრიკის ალმოწერილობა, ალსარების თქმის მოწმობა და მამასახლისის მოწმობა. გარდა იმისა, რომ ყოველ ამ მოწმობას მარკის ხარჯი უნდება, მათი დაწერაცა სჭირს წერა-კითხვის უცოდინარ გლეხებისათვის (ვითომც ამ მოწმობებს თვითონ გლეხები სწერდენ!) და მეტად ავიწროებს დაქორწინებას. განა არ შეიძლებოდა, რომ, როგორც საქმროსაგან, ისე საცოლოსაგან თითო მოწმობა მოეთხოვათ, რომელშიაც ყოველ გვარი ცნობები ერთად იქნებოდა მოქცეული. რა თქმა უნდა, რომ ყოველი ამ გვარი შემავიწროებელი საშუალება (?) მეტის-მეტად აწუხებს ხალხს და აქეზებს თავისუფლად, დაუქორწინებლად, ცოლ-ქმრობის წესზედ ცხოვრებისათვის,“ (იხილე „დროება“ № 41 1884 წ.)

ყმინ არ დაემდურება იმერეთის მღვდლებს ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ და იმ პირს, რომელსაც ამისთანა განკარგულება მოუხდენია ლოცვების ცოდნის მოთხოვაზე, რომელიც წინეთ ვითომ არ ყოფილა? ერთმა მღვდელმა პასუხი გასცა ამ დაწერილ ამბავს „მწყემსი“-ს მე 6 №-ში. აი ის პასუხი:

„მოკლე ლოცვების სწავლის ცოდნა მექორწინე პირთაგან მარტო იმერეთის ეპარხიაში კი არ არის შემოღებული, არამედ მთელს რუსეთის იმპერიაში. ერთი ვიღაცა სასულიერო პირისაგან კი არ არის შემოღებული, არამედ სინოდისაგან და ძველი დროიდამ. სხვა-და-სხვა ცნობები (მოწმობები) მარტო სასიძოსაგან ითხოვება და სასძლოზე—არასოდეს, რადგან ისინი გვირგვინ მაკურთხეველ მღვდელთა სამრევლოთაგანი არიან. ჩვენ დიდი ხანია გამოგონებული გვაქვს ერთი მოწმობა, რომელშიაც ყველა ცნობები არის მოყვანილი, მაგრამ ამ ამბის დამწერს არ გაუგია ეს ჯერეთ. მამასახლისის მოწმობაების მოთხოვა ჩვენ სამღვდელოებას არასოდეს არ გამოგვცხადებია და საიდამ მოეჩვენა ამ შენიშვნის დამწერს? არ ვიცით. ვთხოვთ „დროებას“ გადაბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში სიმართლის აღდგინებისათვის. (იხილე „მწყემსი“ № 6 1884 წ.)

ყველა სოფლებში და თითქმის ქალაქებში გვირგვინის კურთხევა სრულდება სასძლოს სამრევლოში. თავიანთ სამრევლოთა სასძლოთა წოდება, წლოვანება, სარწმუნოება და სხვა ცნობანი ყველა მოძღვრებმა კარგად იციან და იშვიათად საჭიროებენ მათგან მოწმობებს. სასიძოზე ითხოვენ მოწმობებს, მაგრამ ერთ მოწმობაშია ყველა მოთხოვნილი ცნობები მოყვანილი. ეს დიდი ხანია გამოგონებული აქვს სამღვდელოებას. რა მოწმობაა ეს „უბრალო მოწმობა“, რომელიც მოჰყავს „დროების“ კორესპონდენტს, ჩვენ ვერ გაგვიგია და გვონებ, არც თვითონ „დროების“ რედაქციას ესმოდეს!... ესე ცუდია, როდესაც კაცი იმისთანა საგანზე დაიწყებს მსჯელობას რომლისაც არა გაეგება-რა...

ეხლა მოისმინეთ, მკითხველო, „დროების“ „ზრდილობიანი“ პასუხი, რომელიც დაბეჭდილია ამ წლის „დროების“ 85 №-ში. აი ეს პასუხი:

„მწყემსის“ რედაქციას „ჭეშმარიტების აღდგინების“ სალერღელი აშლია. ძალიან კარგი!... ჩვენ ჩვენის მხრით შემწეობას გაუწევთ, რომ ნამდვილი ჭეშმარიტება აღადგინოს და არა მისგანვე გამოგონილი. (?) დღეს ორი ნიმუში გვაქვს და შემდეგისათვის დღეგრძელი ბრძანდებოდეს და სიჭუნწეს არ შევიმჩნევთ,..

პირველი ჭეშმარიტება, ანუ ფაქტი. ჩვენს გაზეთში პატარა შენიშვნა იყო იმის შესახებ, რომ მღვდლები მთავრო-

ბის განკარგულებით უნდა სთხოვდენ ხოლმე ,,ქორწინებასა შინა შემავალთა'' სხვა-და-სხვა საბუთებსაო, რომელთაც მარკები სჭირდებაო. (რა მართალს ამბობს!)

,,მწყემსის'' რედაქცია ვიღაცა იმერელის მღვდლის პირით აცხადებს, რომ ,,დროება'' სტყუისო: ,,ჭეშმარიტების აღდგინებისათვის'' ჩვენ ვბეჭდავთ შემდეგს საბუთს, რომელიც იმერელმა მღვდელმაც და განსაკუთრებით ,,მწყემსის'' რედაქტორმა, ბლაღოჩინმა დ. ღამბაშიძემაც კარგად უნდა იცოდენ. ,,გამოუცხადეთ სამღვდელოებას, რომ ამიერიდგან არ აღასრულებდენ ქორწინებათა მოუთხოვნელად საბუთებთა, თუ სასიძო და სასძლო არიან მათივე მრევლთაგანნი, მოსთხოვდენ მათ მათის ბშობლების, აპეკუნების, ანუ მზრუნველების ნებართვას ქორწინებისათვის, რომელს ნებართვაშიაც უნდა იყოს აღნიშნული დაწვლილებით წოდება, ჩინი, სამსახური, სახელი, მამის სახელი და გვარი. თუ სასიძო სახელმწიფო სამსახურში იმყოფება, მოსთხოვონ მისის მთავრობის ნება-რთვა, ხოლო სამსახურისაგან გარდამდგართაგან მოითხოვონ მათის სამსახურიდგან გარდადგომის შესახებ უქაზი და სალდათის ქვრივთაგან—მათის ქვრივობის მოწმობა: თუ მექორწინენი არ ეკუთვნიან მათს სამრევლოს, მაშინ, გარდა ზემო აღნიშნულთა საბუთებთა, უნდა მოითხოვონ: მოწმობა მათის სამრევლო ეკკლესიის კრებულისა, რომ იგინი ნამდვილ მათნი სამრევლონი არიან, უცოლონი არიან, თუ ქვრივნი და თუ ქვრივნი არიან, რომლის ქორწინების შემდეგ, რომ გამოცხადება განზრახვისათვის მათისა შესვლად ქორწინებასა შინა ქმნილ-არს (როდის სახელდობრ) მათს სამრევლო ეკკლესიაში და რომ დაბრკოლება ქორწინებისათვის არა არის-რა: პასპორტი, ანუ რწმუნება ადგილობითი პოლიციისა იმის შესახებ, თუ რომლის წოდებისა არის მექორწინე; გამოწერილობანი მეტრიჩესკის წიგნებიდგან შობასა და მონათვლასა ზედა და ანუ თვით მეტრიჩესკის მოწმობა.''

,,დროების'' კორესპონდენტს გაუგონია, ზარის რეკა, მაგრამ ის ველარ გაუგია, სად რეკენ ზარებს. სად არის ქართველს ხალდათების მქვრივები, რომელთაც პოლიციის სამქვრივო ბილეთები სჭირდებოდეს? საიდამ სად გადსხულა? გლეხებს მოწმობების წერა უჭირსო. განა გლეხები თვითონ წერენ მოწმობებს? ვსთხოვთ მკითხველთა მიაქციონ კარგად ყურადღება, რაზედ იყო ლაპარაკი და რას მოგვითხრობს ,,დროების'' კორესპონდენტი და ჭეშმარიტების აღმადგენელი? რას ამბობდა წინეთ და რაზედ ლაპარაკობს ეხლა? ამის შემდეგ ვსთხოვთ ,,დროების'' რედაქციას, ნურც თვითონ დაივიწყებს და ნურც თავის კორესპონდენტებს და თანა-მშრომლებს დაავიწყებს პირველ საბაასო კითხვას. იმედია, ამის შემდეგ მაინც მოერიდება ,,დროების'' კორესპონდენტი ამისთანა უაზრო, უსაფუძვლო და უპატიოსნო თავის გამართლებას...

ახლა მივაქცევთ მკითხველთა განსაკუთრებით ყურადღებას შემდეგ სიტყვებს: ,,ჩვენ მეტი არა გვითქვამს-რა და რა უნდა აღადგინოს ბლაღოჩინმა დ. ღამბაშიძემ, არ გვესმის''... (იხილე ,,დროება'' № 85).

ყველამ კარგად იცის და ,,დროების'' რედაქციამ, სირცხვილია, რომ არ იცოდეს, რომ ფსევდონიმის გამოაშკარავება არ არის მიღებული ლიტერატურაში. ,,მწყემსში'' დაბეჭდილ წერილზე, მოწმობების მოთხოვნის შესახებ, ხელი ჰქონდა მოწერილი იმერელ მღვდელს და არა ბლაღოჩინ ღამბაშიძეს. ლოცვების და მოწმობების შესახებ არაფერი არა თქმულა-რა რედაქციის და ბლაღოჩინის ღამბაშიძის სახელით. რათ მივარდა ბლაღოჩინს ღამბაშიძეს ,,დროება'' და მისი თანა-მშრომელი, ჯერედ კიდე ვერ გაგვიგია.

თვრამეტი წლის გაზეთმა, სირცხვილი არ არის, არ იცოდეს უბრალო ლიტერატურული ,,წესი''? ამ სტატიის დამწერის იმერეთის ეპარხიის კანცელარიის სეკრეტრის თანა-შემწის ბ. ე. მჭედლიძისაგან ყველაფერს უნდა მოველოდეთ, ამისათვის, რომ ის ცხოვრებს მარტო აწ-მყო დროით; მომავალი და წარსული დრონი მისთვის არ არსებობენ, როგორც ზოგიერთ არსებათათვის. მაგრამ რედაქციისაგან არ მოველოდით, რომ ის მისცემდა ნებას ფსევდონიმების გამოაშკარავებას, თუმცა ძლიერ მოტყუილებული ბრძანდება ბ. ე. მჭედლიძე ამ შემთხვევაში.

ახლა, ვგონებ, ცხადია ყველასთვის თუ როგორ ბრყედე პასუხს იძლევა ასახსნელ კითხვაზე ,,სახელ განთქმული'' მწერლობაში ე. მჭედლიძე და საიდამ სად გადადის. მაგრამ, მას ხშირად ატყუებს ხოლმე თავისი მეხსიერება. ერთის მხრით რომ სთქვას კაცმა, არც რიგია ერთი მწერალი მაედანზედ იყოს გამოსული და მეორე, ე. მჭედლიძე, ზურგს უკან ამოფარებოდეს ,,ბოსლეველს'' ,,გარეშე მაყურებელს'' და სხვა ,,ელებს!'' ჩვენ წინეთ ვსთქვით რამდენიმე სიტყვა ბოსლეველზე, გარეშე მაყურებელზე და მანელზე, მაგრამ სრულებით არ გვიხსენებია ე. მჭედლიძე, ,,პოპოშნიკი'', რომელიც ამ პსევდონიმებს ამოფარებოდა. მაგრამ ჩვენ იძულებული ვართ, მჭედლიძის ჭკუის სახსწავლებლად ვიხმაროთ მისგანვე ხმარებული საშუალება. იმედია, ე. მჭედლიძე ამის შემდეგ აღარ ამოეფარება სხვა და სხვა ,,ელებს'', აშკარად გამობრძანდება თავის სახელით, რომ საზოგადოებამ შეიტყოს: როგორი ზნის კაცი ჰქადაგებს ზნეობაზედ, როგორი სიმართლის პატრონი — სიმართლეზე და ვინ არის ეს კაფსატონი, რომელიც მთვრალობაზე აბეზღებს სხვას.

(მეორე ფაქტზედ შემდეგ).

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

## შესხმა,

თქმული მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლესაგან სენატორის გენერალ-ლეიტენანტის დიმიტრი სიმონის მის სტაროსელსკის წესის აგებაზე 15 მარტს 1884 წელსა.

ყოველნი მხედავთ მე წინაშე თქვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარესა. სტიროდეთ ჩემთვის ძმანო და მეგობარნო, მოყვასნო და მეცნიერნო (საეკლ. საგალობელი დასაფლავებაზე).

მცხედრის და მიცვალებულის დანახვაზე არ შეიძლება კაცი არ შეწუხდეს და არ იტიროს. კაცს არასოდეს არ შეუძლია გულ-გრილად შეეგებოს სიკვდილსა; არასოდეს არ შეუძლია მას დაწყნარებით და შეუშფოთებლად უყუროს მცხედარს და ვინც უნდა იყოს მას შინა მდებარე. დიდის მწუხარებით აცილებენ საფლავამდე მეგობარნი და მონათესავენი ყველას, ვინც უნდა იდვას კუბოში, თუ გინდ ძლიერ მოხუცებულიც რომ იყოს. განა მწუხარება მონათესავეთა არ აწუხებს გარეშე პირთაცა, მდგომარეთა მცხედრის გარშემო? მიცვალებულის დანახვის დროს, ვინც უნდა იყოს მიცვალებული, ყოველ კაცს აღაშფოთებს უნებლიედ შემდეგი კითხვები: ,,რა არს ესე ჩვენი ქვეყნისა ნაშობნო საიდუმლო? ვითარ მივეცენით ხრწნილებასა? ვითარ შევეუყვენით სიკვდილსა? ვითარ ვხედავთ საფლავსა შინა მდებარესა შვენიერებასა ჩვენსა ხატად ღვთისა დაბადებულსა, შეურაცხოდ, უპატიოდ და უსახეროდ?'' (საეკლ. გალობა). ვინ არ შესწუხდება მასზე, რომ კაცის სხეული, — მშვენიერი სადგური უკვდავი სულისა, ჩვენი ცოდვისთვის, ღვთის განსჯითა, იქცევა უსულო სხეულად და შემდეგ მტვერად? ჩვენი სიკვდილი და ჩვენი საკუთარი მცხედარი არ წარმოგვიდგება თვალ-წინ, როცა ვხედავთ მიცვალებულს და მცხედარს და არ გვაღელვებენ ჩვენ ეს კითხვები? ძნელი სანახავია მიცვალებული და მცხედარი. ოხ, სიკვდილო, რა მწარეა შენი მოგონება! (სირ. მა, ა). და კიდევ ამაზე უფრო მწარეა შენი სახე! მაგრამ მეტად მძიმე, მწარე და საშიშარია უეცარი სიკვდილი, რომელიც მოულოდნელად ცოცხლებიდგან იტაცებს კაცს, რომელსაც ეგონა, რომ ის დიდ ხანს ბედნიერად იცოცხლებდა. აი განსვენებული ჩვენი თანა-მოძმე დარბაისელი დიმიტრი: როგორ შეაწუხა და გააკვირვა მისმა უეცარმა სიკვდილმა ყველა! კაცი მშვენიერი სულით და ხორცით და მასთან კაი ტანმრთელიც, რომელსაც ვაჟკაცობაში ყმაწვილის შეხედულობა ჰქონდა, უეცრად მოკვდა, მზგავსად ნამცეცისა, ანუ მინდვრის ყვავილისა, რომელსა მოულოდნელად მომკის მიწის მუშაკი. ამისთანა მაღალი პატიოსნების და მეტად შრომის მოყვარე კაცი გვაკლდება დღეს ჩვენ, ვითომც ჩვენს საუკუნეში, ზნეობითი გარყვნილების და სიზარმაცის დროში, არ იყვნენ საჭირონი ამისთანა შრომის მოყვარენი! კაცი მეტად პატიოსანი, რომელიც არ აძლევდა თავის თავს ნებას, რომ შეედგინა კაცზე ცუდი აზრი მისი გაფუჭებული ნებისა გამო, არამედ ჰქონდა რწმუნება სხვათა კეთილშობილებაში; ამისთანა კაცი გვერთმევა დღეს სიკვდილით, ვითომც ჩვენს დროში, როცა მეფობს ცილის-წამება, ბოროტ-მეტყველება, როცა ცუდი მიდრეკილებანი იდგმენ ფეხს, საჭირონი არ იყონ ჭეშმარიტად კეთილშობილნი პირნი!.. კაცი მეტად მშვიდი, რომელიც თავის უფლებაებით არ დიდობდა და ყველასთვის ადვილი სანახავი იყო, დღეს მიწოდებულ იქმნა იმ სოფელში, ვითომც საჭირონი არ იყვნენ მის მზგავსნი პირნი, განსაკუთრებით, ჩვენ საუკუნეში, როდესაც სუფევს ამპარტავნება და თავ მოყვარეობა!.. კაცი მეტად წინ-დახედული, გასაოცარი მშვიდი, მეტად გულ-კეთილი და დამჯდარი ხასიათისა, ყველასთვის მისაბაძავი; კაცი, რომელიც არ აწუხებდა თვისთა ხელქვეშეთა და განშორებული იყო ყოველივე ცუდთა გულის-თქმათა, გვაკლდება ჩვენ დღეს; როცა ჩვენ შორის ამისი მზგავსნი კაცები საჭირონი არიან, ნამეტურ ჩვენ საუკუნეში, როცა სუფევს თავის ნებობა და ცუდი გულის-თქმანი. ქრისტიანეთა ქვეყანა ჰკარგავს ჭეშმარიტად ქრისტიანე კაცს ჩვენს საუკუნეში, როცა გავრცელებულია ურწმუნოება და ანტიქრისტიანული მიმართულება. საყვარელი

მეუღლო ჰკარგავს ქმარს; საყვარელი ბავშვები ჰკარგვენ საყვარელ მამას მაშინ, როცა მას შეეძლო თავის ღონე და შეძლება მოეხმარა იმათ აღზრდისათვის; რა დიდი თავ-ზარ დაცემაა ეს მათთვის! ჩვენ არაფერს არ ვამბობთ იმაზე, თუ რა სასარგებლო და უანგარო კაცი დაჰკარგა ასე მოულოდნელად სამშობლომ ამ მიცვალებულში!.. დიახ, განსვენებული თვისი სიკვდილით გვაუწყებს იმას, რასაც გვაუწყებს თვითოეული გარდაცვალებულის პირით შემდეგი საეკკლესიო საგალობელი: ,,რამეთუ გუშინ თქვენთანა მზრახველ ვიყავ და მეყვსეულად მოიღწია ჩემზედა ჟამი სიკვდილისა.'' მოულოდნელად მოიწია ჟამი სიკვდილისა და აღარ გვყავს ძვირფასი კაცი — ძვირფასი არა მარტო თავის ოჯახისთვის, არამედ ყველასათვის, ვინც კი იცნობდა მას. სამწუხაროა, ძმანო და დანო! მეტად სამწუხარო! რომ ჩვენ არ ვიცოდეთ და არ გვწამდეს, რომ ჩვენ აწმყოს და მომავალს განაგებს კეთილი გამგე და ყოვლად სახიერი მამა, Ⴓფალი Ⴖმერთი, რომ ის ყოველივეს განაბებს ჩვენ სასიკეთოდ—ჩვენ უნუგეშოდ დავრჩებოდით, როცა ამისთანა კაცებს, როგორიც იყო განსვენებული, მოვაკლდებოდით... მაგრამ წაიყვანა ჩვენგან განსვენებული ყოვლად მოსიყვარულე Ⴖმერთმა: განა ჩვენ ეჭვი უნდა გვქონდეს მასში, რომ Ⴖმერთი ყოვლად მოწყალე მოექცა სიყვარულისა-მებრ თვისისა ამ განსვენებულს მონას? Ⴖვთის განგებულება ჩვენთვის ძნელი მისახვედრია; მაგრამ ეს განგებულება ყოველთვის კეთილია.

Ⴌუ ვიწუხებთ ამ ძვირფასს მცხედართან, როგორც სხვანი, ,,რომელთა არა აქვს სასოება'' (ა თესალ. დ, იგ), მოვძებნოთ რამე სანუგეშო ამ მწარე დანაკლისში!.. ,,რამეთუ უკეთუ გვრწამს, ვითარმედ Ⴈესო Ⴕრისტე მოკვდა და აღსდგა, ეგრეცა Ⴖმერთმან შესვენებულნი იგი Ⴈესოს მიერ მოიყვანეს მისთანა'' (სტრ. იდ). სასოება საზოგადო მკვდრეთით აღდგომაზე, ხილვა ერთმანერთისა მოსიყვარულეთა იმა სოფელში და იყოს მანუგეშებელი ყველა ჩვენთათვის ამ განსვენებულის მწუხარებაში.

Ⴂანსვენებული ჩვენი თანა-მოძმე დიმიტრი სწირავდა თავის თავს, თავის ტანმრთელობას და შეძლებას თვისთა მოყვასთა სასიკეთოდ. განა მსხვერპლი არ არის ის ეხლაც მეგობართა სასიკეთოდ? განა ჩვენი ჭკუის დასარიგებლად და გამოსაცდელად არ აღიტაცა ის ჩვენგან Ⴓფალმა ასე უეცრად? განსვენებული, ჩვენი თანა-მოძმე იყო კეთილი ქრისტიანე, მორწმუნე, აღმასრულებელი Ⴖვთის მცნებათა და თუმცა იქმნა ის უეცრად ჩვენგან აღტაცებული, მაგრამ შევა სასუფეველში, რადგან ის, უეჭველია, მომზადებული იქმნებოდა. მაგრამ უეცარი მისი სიკვდილი როგორი საშინელი ჭკუის დამრიგებელია მათთვის, რომელნიც არა ფიქრობენ Ⴖმერთზე, მომავალ საუკუნო ცხოვრებაზე, არამედ ცხოვრებენ ცოდვაში და უსჯულოებაში. რა უბედური ხვედრი ექმნებათ მათ იმ სოფელში, ვინც ამა სოფლიდამ განვიდენ მოუნანიებლად ცოდვილნი! ,,სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არს (ფსალ. ლგ, კბ).

Ⴛალიან მძიმეა სასარგებლო კაცის დაკარგვა. მაგრამ ის ჭეშმარიტება, რომ დღეს ჩვენგან სამუდამოთ დაკარგული კაცი იყო მშვენიერი, სანუგეშოა. გარდაცვალებულთა მოგონება მხოლოდ მაშინ არის სამწუხარო ჩვენთვის, როცა იმათი ცხოვრება არ არის უჩირქო. მაგრამ მოგონება კარგთა, პატიოსანთა და კეთილთა პირთა მეტად სასიამოვნოა ყველასთვის. ამნაირნი მოგონებანი ატკბობენ მწუხარებას, მათ დაკარგვაზე. მშვენიერი მოგონება განსვენებულისა იყოს ნუგეშად ჩვენ ყოველთა მომტირალთა მისთა!

Ⴋხნეო მეუღლეო განსვენებულისავ! ნუ იწუხებ ისე, როგორც სწუხრან უსასონი. ის მხურვალე სიყვარული, რომლითაც გიყვარდა შენ შენი განსვენებული მეუღლე, მიაქციე შენს შვილებზე; ეს სიყვარული შეაერთე შენ იმ სიყვარულთან, რომლითაც შენ ისინი გიყვარდნენ აქამომდე, იყავ მათთვის მამის მაგიერი და შენ ამ სიყვარულში და იმათზე მზრუნველობაში ჰპოებ დიდს ნუგეშს. მაგრამ ყველაზე მეტად ევედრე Ⴓფალსა Ⴖმერთსა გარდაცვალებულის სულისათვის, და რათა შეგეწიოს შენ Ⴖმერთი, რომ შეგეძლებოდეს იმ ჯვარის ზიდვა, რომელიც Ⴖვთის განგებულებით შეგხვდა შენ. ილოცე! Ⴖმერთი არა სტოვებს შეუწევნელად მავედრებელთა მისთა.

Ⴃაობლებულნო ყმაწვილებო! ის სიყვარული, რომლითაც თქვენ გიყვარდათ თქვენი მამა, შეაერთეთ თქვენის დედის სიყვარულთან. ანუგეშეთ ის თქვენი კეთილი ყოფაქცევით; იცხოვრეთ ღირსეულად, თქვენი კეთილის და მშვენიერი მამის სახელისა. თქვენი კეთილი ცხოვრება იქმნება ნუგეში მწუხარებაში, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი დედისათვის, და მტკიცედ

ვერწმუნებით, რომ სანუგეშო იქმნება თქვენი განსვენებული მამისათვისაც, რომელიც მოკვდა ხორცით, მაგრამ უკვდავია სულითა.

ახლა ყველა შევევედროთ უფალსა განსვენებულ ჩვენ თანამოძმეზე, დიმიტრიზე, რათა განუსვენოს მას ზეციერმა მამამ სავანესა თვისსა. ამინ.

---

# მოძღვრება.

დღესა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობისასა, თქმული მღვდლის იოელ გამრეკელისაგან გორის მიძინების სობოროსა შინა 25 დეკემბერს, 1883 წელსა.

> დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...

დღეს მართლ-მადიდებელი ეკკლესია მოიგონებს იმ ბრწყინვალე და საგრძნობელ დღესასწაულს მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობისასა, რომლითაც კაცობრიობას მიეცა ხსნა მონებისაგან მტერისა, ხსნა ჯოჯოხეთისაგან, ხსნა სიბნელისაგან და მიენიჭა ნათელი და კეთილი ცხოვრება. ეს დღე არის, ძმანო ქრისტიანენო, დიდი და ჭეშმარიტი სადღესასწაულო და სასიხარულო დღე. ჩვენ დღეს ყველას გვიხარის, ყველას ბრწყინვალე და მხიარული სახე გვაღევს; ყველა ერთი ერთმანეთს ულოცავთ „შობას“; ყველას გვიხარის; მაგრამ აქ იბადება კითხვა: რა გვიხარია ასრე უზომოდ, რა არის მიზეზი ჩვენი ამნაირი სულის სიხარულისა? რად არის „შობა“ ჩვენთვის სასიხარულო მოსაგონებელი? აი ამაზე მსურს, ძმანო ქრისტიანენო, დღეს თქვენთან ბაასი.

გავიდა რაოდენიმე ათასი წელიწადი ქვეყნის დაარსებიდამ ქრისტეს მოსვლამდე და ამ დროის განმავლობაში ხალხი და თითქმის მთელი კაცობრიობა იყო ბნელს ცხოვრებაში: მას არ ესმოდა, რა იყო ბნელი და რა იყო ნათელი; იგი არ იცნობდა ჭეშმარიტსა ღმერთსა, მას სწამდა მრავალი ღმერთები: ზოგი თაყვანსა სცემდა მზეს, ზოგი მთვარეს და ვარსკვლავებს, ზოგი ცეცხლსა და პირუტყვებს, ზოგი კიდევ სხვა-და-სხვა ნივთებსა. მომავალი საუკუნო ცხოვრება მათთვის განუსაზღვრელი, გაუგებარი და ბნელი იყო; არ ჰქონდათ მასზედ ჭეშმარიტი ცნობა. ერთის სიტყვით, ხალხი იყო ზნეობით დაცემული და ბნელ მდგომარეობაში. აღარ იყო ძმობა, ერთმანეთის სიყვარული, დანდობა, ნათესაობა, გაჭირვებაში ერთმანეთის დახმარება; მაშინდელმა მოძღვრებმა უარესად გადაბირეს ხალხი: ხალხი ამათი ცხოვრების წაბაძვით გახდა ცრუ და მოღალატე, ორპირნი და გაუტანელი. აი ამისთანა გაჭირვებულ დროს მოვიდა კაცთა სახსნელად ის, რომელზედაც მრავალთა წინასწარმეტყველთა რაოდენიმე ათასი წლების წინათ აღგვითქვეს, რომ უნდა შობილიყო მხსნელი სოფლისა; მოვიდა იესო ქრისტე, ძე ღვთისა, შობილი მარიამ ქალწულისაგან. მაცხოვარი დაიბადა მცირე და მდაბალს ქვეყანაში. ცათა შინა ადიდებდნენ შობილსა მრავალნი ანგელოსნი და ტკბილის ხმით შეამკობდნენ ცასა შემდეგის სიტყვებით: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...“ მოვიდნენ მწყესები და თაყვანი სცეს შობილსა მას. მოვიდნენ მოგვნი აღმოსავლეთიდგან და შესწირეს მას ოქრო, მური და გუნდრუკი. ანგელოზნი ხარობდნენ ჩვენთვის, რომ ხალხი იმყოფებოდა ბნელსა შინა, ხოლო მაცხოვარი თავის სწავლით ქვეყანაზედ მოსვლის დროს დაიხსნიდა მათ უბედურის ცხოვრებიდგან და საუკუნო დალუპვიდგან, დაარღვევდა გამზადებულს მათთვის ჯოჯოხეთს, აცნობებდა ჭეშმარიტსა ღმერთსა, აცნობებდა თავის თავს, დასთესდა კაცთა მშვიდობას და მით ხალხთა შორის დამყარდებოდა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

მართლაც, ძმანო ქრისტიანენო, ჩვენ ყოველთა უნდა გვიხაროდეს და სიხარულით ვდღესასწაულობდეთ დღევანდელ ქრისტეს მაცხოვრის შობის დღესა. იესო ქრისტემ თავისი გამოცხადებით ქვეყანაზე გამოგვიხსნა ცოდვისაგან და გვასწავა, თუ რა არის კეთილი და ბოროტი,— მან არ დაზოგა თავისი თავი, დაათხია ჩვენთვის სისხლი, იტანჯა უგუნური ხალხის მიერ და შემდეგ მრავალთა ტანჯვათა, გვემათა, შეურაცხებათა, ჯვარზედ სიკვდილი მიიღო. აღსდგა მესამესა დღესა და თვისის აღდგომით ჩვენც მომაკვდავნი აღგვადგინა; ჩვენც მოგვეცა გზა; უკეთუ მას შეუდგებით, შემდეგ სიკვდილისა დავიმკვიცებთ იმ საუკუნო და ნეტარ ცხოვრებასა, სადაც ყოველნი წმიდანი და უხორცონი ანგელოსნი ადიდებენ ღმერთსა.

ჩვენთვისაც, ძმანო ქრისტიანენო, არის საჭირო და სავალდებულო, რომ იქმნეს ჩვენ მიერ დიდებული

ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე. ჩვენცა თუმცა ვართ ცნობილნი მისი კეთილი განზრახვისა და აზრებისა, მაგრამ მრავალჯერ არ ვასრულებთ იმას, რაც უპირველესი და აუცილებელი ვალია ჩვენი და არ ვასრულებთ ბევრსა სხვასაცა, რომელიცა ყოველთათვას საჭიროა. მოყვასი არის ძმა, მეგობარი, მეზობელი და ყოველი ქრისტიანე. ჩვენი ძმისთვის, მეგობრებისთვის არ უნდა ვზოგავდეთ ჩვენ ცხოვრებასა, უნდა მივსცეთ შემწეობა ყოველთა ყოველთვის და ყოველ საჭიროებაში და, თუ საჭიროება მოითხოვს, დავსდვათ თავი მოყვსისათვის; არ უნდა დავიშუროთ ჩვენი ცხოვრება, ხელი უნდა მივსცეთ შეუძლებელთა, გაჭირვების დროს ვიხსნათ; არ უნდა ვიქმნეთ მცარცველნი, ავაზაკნი, მოშურნენი, მზრახველი, მკილავნი. უნდა თვალწინ გვიდგეს სიმართლე და წყალობა, რომლისთვისაც უნდა ვიყვნეთ მარად მზანი. ჩვენც მივსცეთ ფართო გზა, ქრისტიანენო, სიმართლეს და ჭეშმარიტებას; დავსდოთ თავი ყოველ შემთხვევაში მოყვსისათვის. გაჭირვებაში ვიყვნეთ განმამხნეველბელნი შემწენი. აი მაშინ, მხოლოდ მაშინ იქმნება ჩვენთვის დღესასწაული ქრისტეს შობისა სასიხარულო, თუ ამ აზრებს არ დაუტევებთ და აღვასრულებთ; მაშინ ექნება დღესასწაულს ჩვენთვის მნიშვნელობა და მაცხოვარიც მხსნელი იქმნება და ხელის მომმართველი ყოველ ჩვენ კეთილ საქმეში. იქმნება შემწე და მფარველი, არამც თუ დღეს, ამ ბრწყინვალე დღეს, არამედ უკუნისამდე და მაშინ იქმნება ჩვენში დამყარებული მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, რომელიც მოგვანიჭოს ღმერთმან ყველას. ამინ,

## ჩემი ლოცვა.

ილოცე, სულო ჩემო, მხურვალედ,
განსცხრი უფლისა სასოებითა;
სდევნე ბოროტი, იყავი მტკიცედ,
ცოდვა აღმოფხვერ მონანებითა.
ვუყურებ წარსულს ჩემსა სიცოცხლეს,
მაგრამ ვერ ვჰპოვებ მაში კეთილსა,
ვმზერ ტროფობით აღვსილს ჩემს სიყმაწვილეს
და ჩემს სიცოცხლეს უკუღმა მსვლელსა.
მაგრამ ვერ ვჰპოვე საქმე კეთილი,
რომ მით მეწოდოს მე ქრისტიანად;
ესრეთ კეთილთან მარად ბრძოლვილი
ვარ ცხოვნებაზე მე იჭვიანად.
მაგრამ, მეუფევ, შენდა მოვილტვი
ჩემთა ცოდვათა მოსანანებლად,
შენ წინ მუხლთ ვიდრეკ, მწუხარედ ვიტყვი:
მეყავნ, მე ღმერთო, შესავედრებლად.
მოვილტვი შენდა მდაბალის გულით,
ღმერთო, გთხოვ ცოდვათ მოტევებასა,
ბაგეს დავილტობ მდუღარე ცრემლით,
ნუ მიმცემ სრულად სიკვდინებასა.

ილ. ფერაძე.

## წმიდა ნინა.

ნეტარ ხარ შენა, წმიდაო ნინა,
რომ განაბრწყინვე ეს ივერია,
და ქართველ ერსა მით მოეფინა
მადლი ზეცისა მშვენიერია,
რადგან აღანთე ივერიაში
ჭეშმარიტების წრფელი ლამპარი,
და უსულოთა მათ კერპთა გვერდში
უგმირე შენი საღმრთო ლახვარი.
ასწავე ქართველთ სარწმუნოება
სავსე მადლით და ჭეშმარიტებით,
რათა განეგდოთ მათ წარმართება
და ის მიეღოთ გულს-მოდგინებით.
ვაზისა ჯვარის მპყრობი ხელშიდა
იარებოდი სოფლითი სოფლად,
და გარს გემოსა შენ მადლი წმიდა
იესოს სწავლის საქადაგებლად.
საუკუნოა შენი სახელი,
შენი ვედრება არ დაწყნარდება,
სანამ იქნება ერი ქართველი,
შენსა ლოცვასა არ განუდგება.
მაშ გევედრებით, წმიდაო ნინა,
ზეიშუამდგომლე ქართველთ ღვთის წინა,
რათა შთანერგოს ძმობა, ერთობა
და სიყვარული მან ჩვენ გულ შინა.

ილ. ფერაძე.

1884

# განცხადებანი.

## მიიღება ხელის მოწერა ქართულს სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ"

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მმართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ ბეჭდის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ მარტის თვიდამ; ფასი მარტიდამ გაგზავნით და გაუგზავნელად—**ოთხი მანეთი** და **ათი შაური**, ნახევარი წლისა—**სამი მანეთი**.

გაზეთის დაბარება, წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლია ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული სასულიერო გაზეთის **„მწყემსის"** რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). **Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты „МЦКЕМСИ".**

---


საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში ისყიდება რუსულს ენაზე დაბეჭდილნი

**სიტყვანი და შესხმანი**

ჩაღალ ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსის კიშინიევისა და ხოტინსკისა, დღეს საქართველოს ეგზარხოსის პავლესი. სიტყვანი და მოძღვრებანი შესდგებიან სამი ტომისაგან. პირველი ტომი არის 545; მეორე ტომი—546 და მესამე ტომი — 538 გაბადონი.

ფასი სამივე ტომ. **ოთხი მან.** და **ათი შ.**

წიგნების დაბარება შეიძლება ზემოხსენებულ კანცელარიიდამ და ,,მწყემსი''-ს რედაქციიდამაც.



**სტამბა**

დაარსდა 1881 წ.

**ვ. ზედგინიძისა და პ. ფერაძისა**

**ქ. ქუთაისში.**

გიმნაზიის ქ. ივ. ნიკოლაძის მემკვ. სახლ.

ვიღებთ ყოველ-გვარ საქმეებს დასაბეჭდათ, როგორათაც რუსულს, აგრეთვე ქართულს ენებზედ: წიგნებს, ბროშიურებს, ბლანკებს, სჩოტებს, იარლიკებს, ვიზიტნი კარტოჩკებს, აფიშებს, ვექილობის წერილებს, განცხადებაებს და სხვ. ამავე სტამბაში ისყიდება დამზადებული ქართულს ენაზედ **მეტრიჩესკის ბლანკები**. იმედია, როგორათაც დღემდის კმაყოფილი დარჩენილა საზოგადოება ჩვენი სტამბისაგან, აგრეთვე შემდეგშიდაც — დარჩება, რომ ამ სტამბაშიდ გამოდის საქმე სუფთათ და უნაკლულოთ შედარებით ქუთაისის სხვა სტამბებთან, რომელზედაც თვით პატივცემული საზოგადოება, რომელსაც კი ესმის სტამბის საქმე—დაგვეთანხმება.


---


*Дозв. цензурою Кутаисъ, 30 Апрѣля 1884 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.